# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №597

## 2022 წლის 26 დეკემბერი

## ქ. თბილისი

### სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

საქართველოს შრომის კოდექსის II თავის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალი“.

**მუხლი 2**

საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კვირაში არაუმეტეს 48-საათიანი სამუშაო დროის ხანგრძლივობა გავრცელდეს ამ დადგენილების დანართით დამტკიცებული დარგების მხოლოდ იმ საწარმოებზე, სადაც ობიექტურად აუცილებელი საწარმოო მოცემულობიდან გამომდინარე წარმოების/სამუშაო პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, შრომითი პროცესის უწყვეტობა მნიშვნელოვნად განაპირობებს საწარმოს ნორმალურ ფუნქციონირებას, ხოლო შრომითი პროცესის უწყვეტობის დარღვევა გამოიწვევს საწარმოო პროცესის შეფერხებას (სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმო).

**მუხლი 3**

ამ დადგენილების მე-2 მუხლის მოქმედება ვრცელდება სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში მხოლოდ იმ დასაქმებულ პირზე, რომელთან მიმართებითაც ობიექტურად აუცილებელი მოცემულობიდან გამომდინარე არსებობს სამუშაო/საწარმოო პროცესის უწყვეტობის საჭიროება და, შესაბამისად, მოითხოვება 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმში მუშაობა.

**მუხლი 4**

ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საწარმოების ან მე-3 მუხლით გათვალისწინებული დასაქმებულ(ებ)ის განსაზღვრისას მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, შესაბამისი დამსაქმებლის, დასაქმებულთა ჯგუფის (არანაკლებ დასაქმებულთა 20%-ისა) ან „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მიზნებითა და დადგენილი წესით შექმნილი დასაქმებულთა გაერთიანების მოთხოვნის საფუძველზე საკითხს განიხილავს მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული საკონსულტაციო ორგანო – მრჩეველთა საბჭო.

**მუხლი 5**

საწარმოებზე, რომლებიც ითვლებოდნენ სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოებად („სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №329 დადგენილების შესაბამისად), ინარჩუნებენ აღნიშნულ სტატუსს „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №329 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.

**მუხლი 6**

„სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №329 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმო, რომელიც ასეთად აღარ ითვლება ამ დადგენილების საფუძველზე, ინარჩუნებს სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოს სტატუსს 2023 წლის 1 იანვრამდე.

**მუხლი 7**

საწარმოზე, რომელიც „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №329 დადგენილების მიხედვით არ ითვლებოდა სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოდ და ასეთად განისაზღვრა ამ დადგენილების შესაბამისად, ამ დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

**მუხლი 8**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**

**დანართი**

**სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალი**

1. სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგებს მიეკუთვნება „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „სეკ 006-2016 „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2016 წლის 28 ივნისის №10 დადგენილებით განსაზღვრული ეროვნული ეკონომიკის შემდეგი დარგები:

ა) სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის (სექცია A) მიმართულებები, რომლებიც კლასიფიცირებულია 03.11.0 ქვეკლასში – საზღვაო თევზჭერა;

ბ) დამამუშავებელი წარმოების (სექცია C) მიმართულებები, რომლებიც კლასიფიცირებულია განყოფილებაში 10 – კვების პროდუქტების წარმოება;

გ) ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება (სექცია D);

დ) წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები (სექცია E);

ე) ტრანსპორტი და დასაწყობება (სექცია H);

ვ) ინფორმაცია და კომუნიკაციის (სექცია J) მიმართულებები, რომლებიც კლასიფიცირებულია განყოფილებაში 61 – ტელეკომუნიკაციები;

ზ) ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების (სექცია N) მიმართულებები, რომლებიც კლასიფიცირებულია განყოფილებაში 80 – უსაფრთხოების დაცვისა და საგამომძიებლო საქმიანობები და ქვეკლასში 82.20.0 – სატელეფონო ცენტრების მომსახურება;

თ) სახელმწიფო მმართველობის ის მიმართულებები, რომლებიც კლასიფიცირებულია შემდეგ კლასებსა და ქვეკლასებში (სექცია O):

თ.ა) ქვეკლასი 84.11.2 – დაბეგვრის სისტემების მართვა, საქონელზე გადასახადების/ბაჟის შეგროვება და საგადასახადო დარღვევების გამოძიება, საბაჟოს მართვა;

თ.ბ) ქვეკლასი 84.12.0 – ჯანდაცვის, განათლების, კულტურული მომსახურებისა და სხვა სოციალური მომსახურების საქმიანობის რეგულირება, სოციალური უსაფრთხოების გარდა;

თ.გ) ქვეკლასი 84.23.0 – ციხეების ადმინისტრირება და გამოსასწორებელი მომსახურების გაწევა, სარეაბილიტაციო მომსახურების ჩათვლით;

თ.დ) ქვეკლასი 84.25.0 – სახანძრო მომსახურების საქმიანობები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გარდა;

თ.ე) ქვეკლასი 84.30.0 – სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების საქმიანობები;

ი) ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (სექცია Q).

2. სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგებს ასევე მიეკუთვნება:

ა) ელექტროენერგიის წარმოების, განაწილებისა და გადაცემის საქმიანობა, ბუნებრივი გაზის განაწილება და გადაცემის საქმიანობა;

ბ) საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული საქმიანობა, რომელიც უკავშირდება სასამართლოებში, სხვა სამართალდამცავ ორგანოებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში ან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარის ან პროცესის მონაწილის ინტერესების წარდგენას;

გ) გარემოს დაცვის დარგი, რომელიც მოიცავს:

გ.ა) ჰიდრომეტეოროლოგიას;

გ.ბ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვას;

გ.გ) დაცული ტერიტორიების დაცვას;

გ.დ) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის სფეროში კონტროლის განხორციელებას.